ჩემი საქართველო



№68, მარტი, 2020

საქართველო–უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის გაზეთი მათთვის, ვისაც ცოდნის გაღრმავების სურვილი აქვთ, ლიდეობა სურთ და პროფესიონალიზმს ესწრაფვიან!

ღმერთმა დალოცოს საქართველო–უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის რექტორატი, პროფესორ–მასწავლებლები. ტექნიკური პერსონალი. სტუდენტი–ახალგაზრდობა და მათი მშობლები.

+ ილია II,
საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

გარი ჩაფიძე – წარმატებულ ადამიანთა ცერემონია „პერსონას“ გამარჯვებული!

ორ ეტაპად და უმაღლეს დონეზე წარიმართა საქართველოს წარმატებული ადამიანების დაჯილდოების „პერსონა 2019”-ის საზეიმო ცერემონია, რომელიც ჭეშმარიტად სახალხო დღესასწაულად იქცა, ჯერ იყო და გასული წლის მაისში, ქ. თბილისში, რესტორან კომპლექს „პატრიოტში“, დაუვიწყარი შეხვედრა გაიმართა, ამ მართლაც და საამაყო პროექტის ნომინანტებთან... იყო წითელი ხალიჩა, მოზღვავებული ემოცია, შრომის დაფასება და ბევრი, ძალიან ბევრი აპლოდისმენტი... არაჩვეულებრივი შოუ პროგრამა: ირმა სოხაძის, თემურ წიკლაურის, ეკა კვალიაშვილის, გია სურამელაშვილის, ოთო ნემსაძის, გიორგი სუხიტაშვილის, ქეთი გომართელის, თათია კობალაძის, საბა საფარელის, ტატო გოდერძიშვილის, სალომე მირიანაშვილის, ქრისტინე კაპანაძის და სხვათა შესრულებით, ნომინანტები კი... თითქმის ყველა პროფესიის ადამიანები და რა თქმა უნდა, განათლებისა და მეცნიერების წარჩინებულები, ისინი, ვის განათლების, ცოდნის სისტემის თანამედროვე მიდგომებსა და მეცნიერულ მოღვაწეებს აღიარებს მსოფლიო... რთულია, ასეთი შემეცნებითი სრულფასოვნების ეპიცენტრში დგომა, რთული მაგრამ საპატიო, დიახ „პერსონა 2019”-ის ნომინანტად, საერთაშორისო განათლებისა და მეცნიერების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის, სწორედ მაშინ დასახელდა საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის რექტორი, საქართველო-პოლონეთის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტის რექტორი, აკადემიკოსი გარი ჩაფიძე, რომლის სახელი და გვარი, რომლის მიღწევებიც, რომლის მეცნიერული შრომებიც მსოფლიო საკუთრებაა და მის დამსახურებებზე ის უამრავი ჯილდო მეტყველებს, ერთის კი არა, ასობით ადამიანის ბიოგრაფიას რომ დაამშვენებდა...

საქართველოს წარმატებული ადამიანების დაჯილდოების ყოველწლიური პროექტის „პერსონა”-ს 2019 წლის მეორე ეტაპი, გასული წლის მიწურულს, დეკემბრის ბოლოს გაიმართა გრანდ თბილისი შერატონ მეტეხი პალასში, საყურადღებოა, რომ აღნიშნული პროექტის ფარგლებში ჯილდოვდებიან კულტურისა და ხელოვნების, სამოქალაქო, საჯარო, საგანმანათლებლო, სამედიცინო, ბიზნესისა და სხვა სფეროს წარმომადგენლები, ასევე ეპოქის მსახიობები, რეჟისორები, მხატვრები, მოცეკვავეები, მომღერლები, მუსიკოსები, მწერლები, სპორტსმენები...

„პერსონა“-ს დაჯილდოების პრინციპი განსაზღვრულია: სოციალურად აქტიური ქველმოქმედება, ხარისხის განვითარება, ნოვატორობა, პროფესიონალიზმი, საზოგადოების მხრიდან აღიარება, სამოქალაქო აქტივობა, სფეროს განვითარებაზე ზრუნვა, ეროვნულობა (ტრადიციულობა), რეფორმების განხორციელება და სხვა. საყურადღებოა, რომ საქართველოს წარმატებული ადამიანების დაჯილდოების ცერემონია „პერსონა”-ს დიპლომს მოჰყვება უნიკოდი, რომელიც აღიარებულია სახელმწიფოს მიერ, საქართველოს წარმატებული ადამიანების დაჯილდოების ცერემოანია „პერსონა”-ს ფარგლებში გამოდის კატალოგი სახელწოდებით „საქართველოს ოქროს სახელები”, რომლის მიზანია „გააგრძელე შენი ისტორია”. მასში ავტომატურადაა შესული წარმატებული და აღიარებული პიროვნებები და რაოდენ საამაყოა, რომ საქართველოს წარმატებული ადამიანების დაჯილდოების ცერემონია „პერსონა”-ს სახელობითი ტიტული და გამარჯვების დიპლომი საერთაშორისო განათლებისა და მეევნიერების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის ჩვენი სასწავლებლის ხელმძღვანელის, საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის რექტორს, საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის თავმჯდომარეს აკადემიკოს გარი ჩაფიძეს გადაეცა.

– იყო წარმატებული, არ არის პრივილეგია, ეს უდიდესი პასუხისმგებლობაა, პასუხისმგებლობა, რომელსაც ერთნაირად ვინაწილებთ ყველა ჩვენი ინსტიტუტისა და სასწავლო ცენტრების თანამშრომლები, სტუდენტ-ახალგაზრდობასთან ერთად, რამეთუ ეს ჯილდო თითოეული მათთაგანის დამსახურებაა. – აღნიშნა „პერსონა 2019”ის დაჯილდოების ცერემონიალზე აკადემიკოსმა გარი ჩაფიძემ.

ბენეფიციარ ბავშვთა დღის ცენტრი

კოლექტიურად ფერნანდო არრაბალის "პიკნიკზე"

ამ დღეებში რუსთავის აკადემიური ქალაქის ბენეფიციარ ბავშვთა დღის ცენტრის „კოლორიტი 1991" და შშმ ბავშვთა ცენტრის „ფოთოლცვენა 2002"-ის ბენეფიციარები პედაგოგებთან ნანა დეკანოიძესთან და ნაზიბროლა კაპანაძესთან ერთად ქ. რუსთავის გიგა ლორთქიფანიძის სახელობის პროფესიული დრამატული თეატრის სპექტაკლს, ფერნანდო არრაბალის „პიკნიკს", კოლექტიურად დაესწრნენ – სცენარი, გროტესკით გადმოცემული მტკივნეული ამბავია, თუ რატომ ეწირებიან ახალგაზრდა, გამოუცდელი ადამიანები ომს, თუ ვის წიაქვილზე ასხავს წყალს მათ მიერ დაღვრილი სისხლი... ეს სპექტაკლი, ფანტასმაგორია ... და ლაიტმოტივი – როგორ წყვეტენ ომის მშვიდობიანად დასასრულის ბედს, ფრონტის წინა ხაზზე, შვილის დაბადების დღის აღსანიშნავად ჩასული მშობლები...

სპექტაკლის რეჟისორი, მუსიკალური გამფორმებელი და ქორეოგრაფი გიორგი ოსეფაშვილია, სწორედ მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან შესძლო ესპანელი დრამატურგის ფერნანდო არრაბალის აღნიშნული პიესა, უმაღლეს დონეზე განეხორციელებინა რუსთავის თეატრის სცენაზე.

სპექტაკლზე კოლექტიური მსვლელობით ბენეფიციარები და მათი მშობლები კმაყოფილნი დარჩნენ.

ახალი წლის ზეიმი...

ახალი, 2020 წლის დადგომა, ქ. რუსთავის აკადემიური ქალაქის ბენეფიციარ ბავშვთა დღის ცენტრის აღსაზრდელებმა განსაკუთრებული სიხალისით აღნიშნეს, ჯერ იყო და საქართველოს პრეზიდენტისაგან დასაჩუქრება, თეატრის საბავშვო სპექტაკლებზე კოლექტიური მსვლელობა, მერე ქ. რუსთავის მერიის, აკადამიური ქალაქის დირექციის საჩუქრები... და ბოლოს 31 დეკემბერს, ბენეფიციარი ბავშვები თავიანთი საახალწლო ზეიმის პროგრამით, ისევ აკადემიური ქალაქის ტერიტორიაზე არსებული სათემო ორგანიზაციის „კოლორიტი 1991" მოხუცთა სახლს ესტუმრნენ... ამაღელვებელი, გულში ჩამწვდომი, ინტერესიანი და საოცარი თბილი ხიბლის მქონე იყო ეს საღამო, მართლაც და დაუვიწყარი, მართლაც და საზეიმო, ნორჩი დეკლამატორები: თორნიკე ხაზიური, მარიამ და ლიზი გურჯიძეები, მარიამ შენგელია, ანდრია ბიჭიკაშვილი, გურამ მუმლაძე, მარიამ ქუმსიაშვილი, ანუკი შენგელია, რომან ბიჭიკაშვილი, სალომე შენგელია, მარიამ დორეული და სხვები, მართლაც და არაჩვეულებრივი პროგრამით წარსდგნენ მოხუცთა სახლის „კოლორიტი 1921"-ის ბინადართა წინაშე, 2020 წლის დადგომა, ჯანმრთელობა, დიდხანს სიცოცხლე, ახალ-ახალი სასიკეთო ძვრები უსურვა ბენეფიციარებს და მათ საახალწლო საჩუქრები გადასცა აკადემიური ქალაქის დამფუძნებელმა, აკადემიკოსმა გარი ჩაფიძემ, სიტყვით გამოსულებმა ბენეფიციარ ბავშვთა დღის ცენტრის პედაგოგმა ნანა დეკანოიძემ, აკადემიური ქალაქის პატრულირების სამსახურის უფროსმა თინათინ ქადაგიშვილმა, მოხუცთა სახლის სამედიცინო პერსონალმა: მარიამ მათიაშვილმა და მარია კიკნაძემ დამსწრე საზოგადოებას ახალი წლის მილოცვასთან ერთად საახალწლო სუვენირებიც გადასცეს.

ბელგია

სტუმრად ბრიუსელიდან

საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტს, ამ დღეებში, საზღვარგარეთ მოღვაწე, გამოჩენილი ქალბატონი, ქართველ ემიგრანტთა საერთაშორისო ცენტრის დამფუძნებელი, ბრიუსელში ქართული კულტურის ცენტრისა და დიასპორის ხელმძღვანელი ანა ბალამწარაშვილი სტუმრობდა, გაეცნო, რა ჩვენი ინსტიტუტის ძირითად საქმიანობას, მან აქცენტი არაფორმალურ პროფესიულ განათლებაზე შეაჩერა, რამეთუ საზღვარგარეთის ქვეყნებში იგი ერთ-ერთი პრიორიტეტია, ამდენად ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმში, რომელიც ამ ვიზიტის დროს გაფორმდა, ხაგასმით აღნიშნა, რომ ქალაქ ანტვერპენში გაიხსნება ჩვენი ინსტიტუტის სასწავლო ცენტრი, და იგი ბელგიის სამეფოში მცხოვრები ემიგრანტ ქართველებისათვის უდიდესი შენაძენი იქნება, სტუმარი მოიხიბლა ქ. რუსთავის აკადემიური ქალაქის დათვალიერებით, განსაკუთრებული ყურადღება კი ნიდერლანდურ-ქართულ ლექსიკონზე გაამახვილა, რომელსაც მსოფლიოში დღემდე ანალოგი არ აქვს და რომლის ავტორ-შემდგენელი ჩვენი ინსტიტუტის რექტორი, აკადემიკოსი გარი ჩაფიძეა.

საყურადღებოა, რომ მიმდინარე წლის აპრილში, ქალაქი ბრიუსელი, მეცნიერთა საერთაშორისო კონგრესს და დიასპორის წარმომადგენლებს უმასპინძლებს, სადაც ქართულ მხარეს ჩვენი, საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტი წარმოადგენს.

წალკა

განათლების დონის ამაღლება – თანაგრძნობის ამაღლებას ნიშნავს!

წალკა, ერთ-ერთი საინტერესო ადმინისტრაციული ცენტრია საქართველოში, თავისი მრავალფეროვნებით, მრავალი სეგმენტითა და ნიჭიერი ადამიანური რესურსით, ეს ნიჭიერება უბრალოებაშია და აქ მთაში იბადება, ამიტომაცაა, ჩვენი რაიონის მოსწავლე-ახალგაზრდობა რესპუბლიკურ ოლიმპიადებსა თუ სხვადასხვა მეცნიერულ მიღწევებში, მოწინავეობას არავის უთმობს... მაგრამ განათლების დონის ამაღლებას, მუდმივი შრომა სჭირდება, შრომა სიახლეთა დაუფლებისა, პროფესიის შესწავლისა... ჩვენთან კი... გულწრფელად, რომ ავღნიშნოთ, პროფესიული სწავლების დაწესებულების არ არსებობას, ნამდვილად განვიცდიდით და რაოდენ სასიხარულოა, რომ საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ეგიდით, ქ. წალკაში შეიქმნა არაფორმალური პროფესიული განათლების სასწავლო ცენტრი სადაც ყველა პირობაა შექმნილი სტუდენტთა პროფესიული დაოსტატებისათვის.

აღნიშნული ცენტრის გახსნა, დიდად შეუწყობს ხელს რაიონისათვის საჭირო კადრების პროფესიონალებად ჩამოყალიბებასა და ახალგაზრდების ადგილზე დამაგრებას – აღნიშნა სტუდენტ-ახალგაზრდობასთან და მათ მშობლებთან შეხვედრისას ინსტიტუტის რექტორმა აკადემიკოსმა გარი ჩაფიძემ, რომელმაც, აღნიშნული პროექტის ქ, წალკაში განხორციელების ხელშეწყობაში სამადლობელი სიტყვების ადრესატ – რაიონის ხელმძღვანელობასთან ერთად, განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა ქ. წალკის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსს ბატონ არსენ ჯმუხაძეს.

ვაჟა მარკოიძე
ქ. წალკის სასწავლო ცენტრის განათლების
ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი.

გამოსათხოვარი

ლილი კაზაროვა



უცნაურია ადამიანთა ბედი... იმდენად უცნაური, რომ... უზრუნველი ბავშვობა ჰქონდა, კარგი მოსწავლე და მისაბაძი სტუდენტიც იყო, შემდეგ სამაგალითო თამანშრომელი. რომელიც ნახევარსაუკუნეზე მეტი ემსახურებოდა ქართული განათლების სისტემას. არასოდეს ამბობდა უარს თავისი მდიდარი გამოცდილება გაეზიარებინა კოლეგებისათვის, მოსწავლეებისათვის, მშობლებისათვის... მერე... ძველ ფასეულობათა გადაფასების შედეგად, უკვე პენსიონერი, ჩვენი, მოხუცთა სახლის „კოლორიტი 1991"-ის ბენეფიციარი გახდა... უაღრესად ერუდირებული, უდიდესი ინტელექტითა და კულტურით გამორჩეული ქალბატონი გახლდათ ლილი კაზაროვა... ძალზე მოულოდნელი იყო ყველასათვის მისი გარდაცვალება. მხოლოდ ერთი დღე იავადმყოფა და... წავიდა ჩვენიდან 85 – წლის ასაკში, წავიდა და დაგვიტოვა ტკივილი, სიყვარული და მონატრება... წავიდა... ახალ 2020 წლამდე ორიოდე დღით ადრე... უჩეულო ამინდი იყო, მერე როცა სამუდამო სასუფეველს მივაბარეთ, დელგმა ამოვარდა... ქარი და წვიმა... ბუნებაც დასტირის კეთილ ადამიანებს...

სარედაქციო კოლეგია

რედაქციის მისამართი: 3700 ქ. რუსთავი შევჩენკოს ქუჩა №5; (აკადემიური ქალაქი) კორპუსი №4

ტელ: (0341) 22-25-00; 27-99-00; 22-77-77; 25-37-00; 25-39-00; 27-94-00; 27-96-00

ISSN 2298-0369

ქუთაისი სავარდო და სამაისო...

მაისობისა, რა მოგახსენოთ, მაგრამ ზამთრისათვის უჩვეულო სითბოთი და ვარდებით ნამდვილად გვიმასპინძლა კულტურისა და მეცნიერების ქალაქმა ქუთაისმა, საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის რექტორთან, აკადემიკოს გარი ჩაფიძესთან, სტუდენტ-ახალგაზრდობის, მათი მშობლებისა და ლექტორ-მასწავლებლების შეხვედრაზე, ჩვენი ინსტიტუტის არაფორმალური პროფესიული განათლების სასწავლო ცენტრი, მიმდინარე სასწავლო წელს გაიხსნა ქუთაისში, რომელმაც იმთავითვე დიდი ინტერესი გამოიწვია და თანდათან საკუთარი ხელწერის საგანმანათლებლო დაწესებულებად ყალიბდება...

ქუთაისი თავისებური, განსაკუთრებული ქალაქია... ხიბლით, მიმზიდველობით, კულტურით, მეცნიერებით, სილამაზითა და რაც ყველაზე მთავარია ხალასი იუმორით, ამ ქალაქს კოლორიტები, არასოდეს აკლდა, მაგრამ ჩვენი, საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ქ. ქუთაისის სასწავლო ცენტრის განათლებს ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი, ქალბატონი მაყვალა ქობულაძე, ერთ-ერთი გამორჩეულია ქალაქის საგანმანათლებლო სივრციდან, ამდენად მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ პირველსავე სასწავლო წელს, სტუდენტთა მაქსიმალურ ზღვრამდე მივიდა... ყველაფრის თავი და თავი კი, ქ. ქუთაისის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, სათნოებით სავსე პედაგოგი და მეცნიერი ქალბატონი მაიკო ცქიტიშვილია, სწორედ მისი ლომის წილია ამ „სავარდო და სამაისო“ ქალაქში, ჩვენი სასწავლო ცენტრის წარმომადგენლობა, რომ გაიხსნა...

— ჩვენი მისია, მომავალი თაობის აღზრდაში შეტანილი თეორიული და პრაქტიკული ცოდნის სინთეზია, რომელიც არაფორმალური პროფესიული განათლების ეგიდითა და საერთაშორისო-საგანმანათლებლო ევრო აკრედიტაციით გვსურს საქართველოს ყველა ადმინისტრაციულ ცენტრში განვათავსოთ და ახალგაზრდებს, რაიონებში, ადგილზე დამაგრების მიზნით, მათთვის ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოსადეგი სპეციალობები შევთავაზოთ — აღნიშნა თავის გამოსვლაში ინსტიტუტის რექტორმა აკადემიკოსმა გარი ჩაფიძემ, რომელმაც საერთაშორისო-სამეცნიერო საკითხებზე, იმავე დღეს, აღნიშნული ვიზიტის ფარგლებში, ვრცელი ინტერვიუ მისცა იმერეთის რეგიონალურ ტელევიზიას, ასევე რეგიონალური ტელევიზიის პროდუსერთან, ქალბატონ ნინო ნებიერიძესთან, ვრცელი ინტერვიუ ჩაწერა საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის არაფორმალური პროფესიული განათლების სასწავლო ცენტრების განათლების ხარისხის ექსპერტმა სოსო პირველმა, რომელმაც სტუდენტ-ახალგაზრდობასთან თავის გამოსვლაში კიდევ ერთხელ გაანალიზა პროფესიული განათლების სეგმენტის აუცილებლობა საქართველოში, აღნიშნულ საკითხს შეეხო და სასწავლო ცენტრს სრული მხარდაჭერა გამოუცხადა ქ. ქუთაისის კულტურულ-სახელოვნებო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მმართველმა, ბატონმა ვაჟა ჯუღელმა, მსმენელი დაატკბო ნორჩი მუსიკოსის ნინო სანოძის მიერ ვიოლინოს თანხლებით შესრულებულმა ნომრებმა (პედაგოგი ეკა გიორგაძე, კონცერმეისტერი თინათინ ფურცხვანიძე) განსაკუთრებით საყურადღებო კი, ქ. ქუთაისის საპატიო მოქალაქის ქ. ქუთაისის №1 პოლიკლინიკის მთავარი ექიმის, საოჯახო მედიცინის სასწავლო ცენტრის დირექტორის, ბატონ მერაბ კვიცარიძის, გამოსვლა გახლდათ, ისეთივე საინტერესო, იმედიანი და ხალასი როგორც თვით მისი ბიოგრაფია, იმდენად საინტერესო, რომ ამ კაცის, სამეცნიერო-საქველმოქმედო საქმიანობით აღფრთოვანებულმა საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის თავმჯდომარემ, აკადემიკოსმა გარი ჩაფიძემ დარბაზშივე გადაწყვიტა, მერაბ კვიცარიძის, პედაგოგიური ელიტის უმაღლესი ჯილდოთი, იაკობ გოგებაშვილის მედლით დაჯილდოების საკითხი.

საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის რექტორის, აკადემიკოს გარი ჩაფიძის ვიზიტი რეგიონალურ სასწავლო ცენტრებში გრძელდება.

ლაგოდეხი ეს ათი წელი...

საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ქ. ლაგოდეხის არაფორმალური პროფესიული განათლების სასწავლო ცენტრი, უკვე ათი წელია, რაც საკუთარი ხელწერის საგანმანათლებლო დაწესებულებად იქცა... რა საკვირველია, როგორც ყველა სიახლეს, ჩვენს სასწავლო ცენტრსაც ჰქონდა სირთულეები, ახალ-ახალი გამოწვევები... მაგრამ წინსვლის ტემპი არასოდეს შენელებულა, ამიტომაცაა, რომ დღეს, რაიონში ნომერ პირველ საგანმანათლებლო კერად მოვიაზრებით, ეს კი თითოეული ჩვენი თანამშრომლის, ლექტორ-მასწავლებელთა თუ ტექნიკური პერსონალის დამსახურებაა, რასაკვირველია, სტუდენტ-ახალგაზრდობასთან ერთად, მათი მშობლების ჩართულობით... და დღეს სიამაყის გრძნობას ვერ ვფარავ, როდესაც ჩვენი კურსდამთავრებულები, საკუთარი პროფესიონალიზმის ჩამოყალიბებაში დახმარებისათვის, უღრმეს მადლობას მიხდიან... ისინი ხომ ყველგან არიან — აფთიაქებში თუ საავადმყოფოებში, ბანკებში თუ დაცვის პოლიციაში, ბაგა-ბაღებსა თუ კომპიუტერულ ცენტრებში, ტურისტულ სააგენტოებში... ისინი ბევრნი არიან... ათი წელი არც თუ მცირე დროა... დიახ ათი წელი და არც ერთი იმდეგაცრუება, ახალ-ახალი პროექტების განხორციელება და წინსვლა, ეს გულწრფელი სამადლობელი სიტყვები კი ჩვენი ინსტიტუტის რექტორს, აკადემიკოს გარი ჩაფიძეს ეკუთვნის, რომლისთვისაც სიტყვა და საქმე ერთიანია და რომლის დამსახურებაც, აგერ უკვე მესამე წელია, ახალ სასწავლო წელს, საკუთარ შენობაში, კეთილმოწყობილ კაბინეტ-ლაბორატორიებში ვიწყებთ!

ოთარ ხაზარაძე

ქ. ლაგოდეხის სასწავლო-ცენტრის განათლების
ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი.

თეთრიწყარო როგორ პროფესიულ განათლებას მოგცემს ჩემი სასწავლებელი?

ამ თემაზე გაიმართა დისპუტი საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ქ. თეთრიწყაროს არაფორმალური პროფესიული განათლების სასწავლო ცენტრში, რომელმაც უდიდესი ინტერესი გამოიწვია, დისპუტის თემა, მართლაც და მომავლის გადასახედთან მდგომი, ცხოვრების კარიბჭის ზღურბლთან მყოფი სტუდენტი-ახალგაზრდებისათვის, ახლებური აზროვნების, მომავლის განსჭვრეტის ძირითად მიმართულებად იქცა... ჩვენი სასწავლებელი მართლაც და არსებობის მხოლოდ რამოდენიმე თვეს ითვლის, დიახ, ამ სასწავლო წლის დასაწყისში, პირველად, პირველკურსელთათვის დაირეკა ზარი, პროფესიული განათლების მიღების ზარი, რომელიც თამამად შეიძლება ითქვას, მთელი რაიონისათვის პროფესიული ცოდნის მიღების კომპასად იქცა, სწორედ ამიტომ, ადმინისტრაციული ერთეულის ადგილობრივი ხელმძღვანელობის უმაღლეს დონეზე დახმარებისა და მოსახლეობის მხარდაჭერით, შევძელით ქ. თეთრიწყაროში, განათლების აღნიშნული კერის დაფუძნება, დიდი მადლობა ყველას, ჩვენი სასწავლო ცენტრის სახელით, სტუდენტ-ახალგაზრდობასა და მათ მშობლებს, პედაგოგებს, ტექნიკურ პერსონალს დაკისრებული მოვალეობის მაღალ დონეზე შესრულებისათვის, განსაკუთრებული მადლობა კი ინსტიტუტის რექტორს, აკადემიკოსს გარი ჩაფიძეს, ვისი უშუალო ძალისხმევითაც ქ. თეთრიწყაროში პროფესიული განათლების სასწავლო ცენტრი გაიხსნა.

ელისო კანდელაკი

ქ. თეთრიწყაროს სასწავლო ცენტრის განათლების
ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი.

რუსთავი საჯარო ლექცია

საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის არაფორმალური პროფესიული განათლების ქ. რუსთავის სასწავლო ცენტრს ქ. რუსთავის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ეკატრინე პართენიშვილი სტუმრობდა საჯარო ლექციით: - „დისკრიმინაციის შემცველი ნიშნებით ჩადენილი დანაშაულებები“, რომელიც სასწავლო ცენტრის იმიტირებულ სასამართლო დარბაზში გაიმართა, ლექციამ, რომელიც კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა, სტუდენტთა დიდი ინტერესი გამოიწვია, განსაკუთრებით აქტიურობდნენ: გიორგი ბრაგინი, ნათია მათეოსიანი, ნია ნებიერიძე, გიორგი გაბარაევი, სალომე პატარაია და სხვები, პედაგოგებმა, აღნიშნული შეხვედრის ორგანიზატორმა, პროფესორმა ლეილა გეგეშიძემ და სასწავლო ცენტრის განათლების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსმა ქეთევან ცისკარაშვილმა ლექციის ფარგლებში თავიანთი შეხედულებები გამოთქვეს, ძალზე საინტერესო იყო ინსტიტუტის რექტორის აკადემიკოს გარი ჩაფიძის არგუმენტირებული საუბარი იმ საკითხების მიმართ, რომელიც მომავალი თაობის სამართლებრივი კულტურის განვითარების ნიშანსვეტია — მანვე დიდი მადლობა გადაუხადა ქ. რუსთავის საქალაქო სასამართლოს ხელმძღვანელობას, მის ყველა მოსამართლეს და განსაკუთრებით კი, ქალბატონ ეკატერინე პართენიშვილს სტუმრობისა და საინტერესო, დროული და მიმზიდველი ლექციის წარმართვისათვის.

„EUCEN“-ის საერთაშორისო საგანმანათლებლო ევრო აკრედიტაციის მფლობელი

საქართველო უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის სასწავლო ცენტრები

აცხადებს მიღებას

IX და XII კლასდამთავრებულთათვის, ასევე მიღებიან X, XI, XII კლასის მოსწავლეები სწავლისაგან მოუწყვეტლად

არაფორმალური პროფესიული განათლების ეგიდით

- კომპიუტერული ტექნოლოგიები
- დაცვა-პატრულირება
- გარემოს დაცვა
- შრომითი უსაფრთხოების დაცვა
- კრიმინალისტი
- ბანკის ოპერატორი
- ექთნის თანაშემწე
- ფარმაცევტის თანაშემწე
- კბილის ტექნიკოსი
- ხილ-ბოსტნეულის პირველადი გადამამუშავებელი
- ვეტერინარი
- ბაგა-ბაღის აღმზრდელი
- კორესპონდენტი
- გიდი, ტურიზმი

მისამართი:

ქ. თბილისი, ჯავახეთის ქუჩა №7
ქ. რუსთავი, შევჩენკოს ქუჩა №5 (აკადემიური ქალაქი)
ქ. ანაკლია, რუსთაველის ქუჩა №143ა
ქ. აბაშა, აღმაშენებლის ქუჩა №141
ქ. ოზურგეთი, კვაჭალათას ქუჩა №5
ქ. ახალციხე, რუსთაველის ქუჩა №50
ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქუჩა №25
ქ. ლენტეხი, თამარ მეფის ქუჩა №1
ქ. ქუთაისი, ტ. ტაბიძის ქუჩა №29
ქ. ტყიბული, კოსტავას ქუჩა №1
ქ. თერჯოლა, აღმაშენებლის ქუჩა №3
ქ. ჭიათურა, ყაზბეგის ქუჩა №6
ქ. ხარაგაული, 9 აპრილის ქუჩა №15
ქ. მარნეული, რუსთაველის ქუჩა №36
ქ. დმანისი, 9 აპრილის ჩიხი №25
ქ. წალკა, რუსთაველის ქუჩა №68
ქ. ბოლნისი, აღმაშენებლის ქუჩა №58
ქ. თეთრიწყარო, რუსთაველის ქუჩა №2
ქ. საგარეჯო, აღმაშენებლის ქუჩა №6
ქ. გურჯაანი, სანაპიროს ქუჩა №6
ქ. ლაგოდეხი, ვაშლოვანის ქუჩა №2
ქ. თელავი, ალაზნის ქუჩა №71
ქ. ახმეტა, რუსთაველის ქუჩა №9

კურსდამთავრებულები მიიღებენ სასწავლო პროგრამის გავლის დამადასტურებელ სამენოვან დიპლომს! რომლითაც შეუძლიათ სწავლა განაგრძონ კიევის რეგიონალურ აკადემიაში, შესაბამისი სპეციალობის, მესამე კურსიდან!